მუდამ ერთად, მხარდამხარ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 133 (13825) | პარასკევი, 9 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

მოსკოვი, 8 ივნისი. საქართველოს დღეები მოსკოვში. სურათზე: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისადმი მიძღვნილი საღამო კრემლის თეატრში.

ფოტო გ. კიკვაძისა. (სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ქება და მეგობრობა

დღის ცენტრალური მოვლენა იყო დიდი საზეიმო საღამო კრემლის თეატრში, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მიეძღვნა.

...თეატრი ხალხით არის გაჭედილი. აქ თავი მოუყრიათ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, მოსკოვის საწარმოთა მუშებს, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს. სცენა სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით არის მორთული. ყვავილებითაა შემკული ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

პრეზიდიუმში არიან საქართველოს სსრ ოფიციალური დელეგაციის წევრები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ბ. ეგორიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ვ. ფ. შაურო, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ი. პოპოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ტ. სიზოვი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ნასტინი და ვ. ვ. ბასლინი და სხვები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ა. შაპოშნიკოვმა. იგი მიესალმა სტუმრებს და მათი სახით სახელოვან ქართველ ხალხს, რომელთანაც მოსკოველებს მტკიცე ინტერნაციონალური მეგობრობა და ძმობა აკავშირებს.

—ჩვენი ხალხების ეს ლენინური ურღვევი მეგობრობა, — თქვა მან, — იშვა რუსებისა და ქართველების ერთობლივ ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, გამოიწრთო ოქტომბრის რევოლუციურ ბრძოლებში, ღირსეულად გადაიტანა მკაცრი განსაცდელი დიდი სამამულო ომის წლებში.

მოსკოველები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად — განაგრძო ამბავი შაპოშნიკოვამ, — ამაყობენ მომძე ქართველი ხალხის შესანიშნავი წარმატებებით, რომლებსაც მან მიაღწია სოციალისტური ერების ძმურ ოჯახში.

შემდეგ ორატორი შეეხო იმ მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას, რითაც დაკავშირებულია მოსკოვი და საქართველო. დედაქალაქის ბევრი საწარმო ახლა თავის პროდუქციას უგზავნის მომძე რესპუბლიკას. და, რა თქმა უნდა, იმ პროდუქციის დიდი წილი, რომელსაც საქართველოს საწარმოები უშვებენ, განკუთვნილია ჩვენი დედაქალაქისათვის.

მოსკოვის მშრომელები დიდად აფასებენ ქართველი ხალხის თავისთავად ხელოვნებას, ლიტერატურას. აი რატომ არიან ისინი განსაკუთრებით მოხარულნი, რომ მოსკოვს ეწვევნენ რესპუბლიკის შესანიშნავი შემოქმედებითი კოლექტივები, რომ სტუმრად ნახავენ საქართველოს თვალსაჩინო მსახიობებს, მხატვრებს, მწერლებს, მეცნიერებს, კინემატოგრაფისტებს.

ა. ა. შაპოშნიკოვი რწმენას გამოთქვამს რომ საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეები მოსკოვში ჩაიწერება ახალ ფურცლად სსრ კავშირის ისტორიაში, განამტკიცებს და განავითარებს საბჭოთა ხალხების ძმობას.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ბ. სტშრუამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იგი გულითადად მიესალმა მოსკოველებს.

ორატორმა თქვა, რომ თბილისელებსა და მთელ ქართველ ხალხს დიდხანს ემახსოვრებათ მნიშვნელოვანი მოვლენა — საქართველოს დედაქალაქში ახლახან გამართული მოსკოვის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომლებიც ორი ხალხის მეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

დაწვრილებით შეეხო რა წარმატებებს რესპუბლიკის კულტურის აყვავებაში, დ. ბ. სტურუამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წარმატებებს საფუძველად უდევს საქართველოს ეკონომიური მიღწევები.

მოსკოვი ძვირფასია ქართველი ხალხისათვის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის, რომლებსაც იგი მიიჩნიეთ კომუნიზმის მშენებლობაში ახალ მომავალ გამარჯვებათა დროშად!

ვამაყობთ იმით, რომ ომის მკაცრ წლებში მოსკოვის მისადგომებზე დიდი რუსი და ჩვენი სამშობლოს სხვა ძმადნაფიცი ხალხების შვილებთან ერთად ვუკაცურად იბრძოდნენ ქართველი მეომრებიც.

დღეს ყველა საბჭოთა ადამიანის მზერა, როგორც ყოველთვის მიპყრობილია მოსკოვისადმი, წითელი მოედნისადმი, ჭალარა კრემლის კედლებისადმი, ლენინისადმი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ბელადის, ძვირფასი ილიჩისადმი — ჩვენი მასწავლებლის, ჩვენი ბელადისადმი.

მზიური საქართველოს ხალხისადმი რუსი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული საკისრების პირველი სახელმწიფო ქარხნის ზეინკლის, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის ა. ვ. ვიქტოროვის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ. გ. სიროტკინას სიტყვები.

საბჭოთა სახელმწიფოს მეგობრულ ოჯახში სოციალისტური საქართველო გულდაჯერებით მიაბიჯებს მომავლისაკენ. ამის შესახებ ილაპარაკეს საღამოზე მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. ა. წიოლიძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. დ. ლორთქიფანიძემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ვ. ჯაფარიძემ.

დელეგაციის წევრებმა მოსკოვის მშრომელებს შეხვედრის სამახსოვროდ მიუძღვნეს ვ. ი. ლენინის სულტატურული პორტრეტი, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ვ. თოფურიძემ შექმნა.

საღამოს დასასრულს გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საქდესი).

გულთბილი და ძმური შეხვედრები

მესამე დღეა საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი მოსკოვში ხვდებიან დედაქალაქის მშრომელებს. 8 ივნისს გულთბადი შეხვედრა გაიმართა მოსკოვის სასინტუმენტო ქარხანა „კალიბრში“. გულითადად, ძმურად მიიღეს ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს წარმომადგენლები. საქართველოს დღეების მონაწილეებმა დაათვალიერეს საწარმო, თაიგულებით შეამკეს ქარხნის გმირთა ძეგლები, რომლებიც დაიღუპნენ დიდ სამამულო ომში. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ქარხნის ტერიტორიაზე გაშენებული ჩრდილოვანი ხეივნები პარკს მოგვაგონებს. მდუმარედ დგანან საბჭოთა კავშირის გმირების ს. გოდოვიკოვის, ი. დოკუკინის, ი. ბოჩკოვის ბარელიეფების გარშემო ამოტლი, ჭალარა ალვისხვები. ქარხნის მშრომელთათვის ამ წმიდათა წმიდა ადგილის მახლობლად — „წითელ მოედანზე“ გაიმართა მეგობრობის ხალხმრავალი მიტინგი.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. კალინკინმა, რომელიც ქარხნის კოლექტივის, დედაქალაქის, მთელი ძერჟინსკის რაიონის მშრომელთა სახელით, სადაც ქარხანა „კალიბრი“ მდებარეობს, მიესალმა საქართველოს სსრ დელეგაციის წევრებს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი ა. ივანოვი. ჩვენი ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით, თქვა მან, სულითა და გულით მივესალმებით მშვენიერი საქართველოს წარმომადგენლებს ჩვენს მოსკოვის მიწა-წყალზე, აყვავებულ ძერჟინსკის რაიონში, ჩვენს ქარხანაში, რომელიც პირველი ხუთწლედის პირმშოა.

რეკორდულად მოკლე დროში ჩადგა მწყობრში ქარხანა „კალიბრი“. პირველი პროდუქცია ქარხანამ გამოუშვა 1932 წელს. ეს იყო მისი შემქმნელების, მისი მშენებლების მუშაობის გმირული პერიოდი.

გავიდა 35 წელი. ამ სახელოვან თარიღს აღენიშნავთ საიუბილეო წელს.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს შევასრულებთ და სამშობლოს მივცემთ ახალ პროდუქციას, რომელიც მსოფლიო ტექნიკის დონეზე იქნება.

ჩვენ ვეჯიბრებით მთელ რიგ საინსტრუმენტო ქარხნებს და განსაკუთრებით ასსამოვნოა აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი ქარხანა, რომელთანაც დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობა, არის თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა.

ივლისში ამხანაგები ჩამოვლენ ჩვენთან ქარხნის 35 წლისთავის დღესასწაულზე, შევაჯამებთ 1967 წლის პირველი ორი კვარტალის შეჯიბრების შედეგებს და ერთმანეთს გავუზიარებთ მუშაობის გამოცდილებას.

მინდა სიხარულით აღვნიშნო, რომ ხალხებში ამხანაგები ზურაბიშვილი, ამაღათაშვილი, მღარავები სედოვი, ღლონტი თბილისის ქარხნის საუკეთესო ადამიანები არიან და 1967 წელს დიდი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს.

ძვირფასო სტუმრებო, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივს ჩვენგან გადაეცით დიდი სალამი და უსურვეთ დიდი წარმატებანი.

მთელი საბჭოთა ხალხი პატივს სცემს და უყვარს საქართველოს ლიტერატურა და ხელოვნება. მოსკოველებთან ერთად ემონწილეობდით შოთა რუსთაველის 800 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში.

ქარხნის ვეტერანთა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა, ყველა მუშის, ინჟინრისა და მოსამსახურის სახელით მოგილოცავთ საქართველოს სსრ კულტურისა და ხელოვნების დღეების დაწყებას მოსკოვში.

ამხანაგმა ივანოვმა დელეგაციის წევრებს სუვენირად გადასცა ქარხანაში დამზადებული საზომი ხელსაწყო.

მიტინგზე საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. სტურუამ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. საქართველოს სსრ დელეგაციის, მოსკოვში კულტურისა და ხელოვნების დღეების ყველა მონაწილის, მთელი ქართველი ხალხის სახელით მხურვალედ, ძმურად მიესალმა დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს კოლექტივს, მოხარული ვართ, თქვა მან, რომ მოვედით თქვენს ქარხანაში. ვიცით, რომ იგი პირველი ხუთწლედის პირმშოა. თქვენი კოლექტივი წმინდად იცავს ქარხნის კარგ ტრადიციებს. დღეს ვნახეთ, თუ რა სათუთად ეკიდებიან თქვენი ქარხნის მშრომელები გმირ კალიბრელთა ხსოვნას, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის ნათელ მომავალს. ვიცით, რომ თქვენი კოლექტივის თითოეული წევრი ღირსეულად და ამაყად ატარებს საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასის მაღალ დროშას.

შეეცდებით გიჩვენოთ ყველაფერი, რითაც მდიდარია ქართველი ხალხის კულტურა და ხელოვნება, გიპატაკებთ, თუ რითი ხვდება ქართველი ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებითად არ არსებობდა მრეწველობა. დღეს კი გვაქვს ყველა სახეობის თანამედროვე მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლების განმავლობაში ფართოდ განვითარდა ავტომანქანებელი, ელმავალაშენებელი, ენერგეტიკული მრეწველობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა 300-ჯერ და მეტად. ყოველწლიურად რესპუბლიკა აწარმოებს მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე მთელი რევოლუციამდელი რუსეთი.

ჩინებული წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. შარშან რესპუბლიკის მეჩაიეებმა მოკრიფეს 226 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ასე, რომ გიწვევთ არა მარტო ჭიქა საამო ქართულ ღვინოზე, არამედ ფინჯან სურნელოვან ქართულ ჩაიზე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობით მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. საინტერესოა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის დიდი შვილი ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოში იქნებოდა რამდენიმე აგრონომი და ინჟინერი. ახლა რესპუბლიკის 20 უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად უშვებს ათასობით მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს.

ეს ციფრები და ფაქტები აქ შემთხვევით როდი მოვიყვანეთ. ეს ციფრები და ფაქტები საუკეთესო დადასტურებაა ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკისა. ჩვენ ვიცით, რომ ქართველი ხალხი ვერ მიაღწევდა ყოველივე ამას ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის და, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ხალხის დაუხმარებლად.

ქართველმა ხალხმა იცის და აფასებს ამას და ასევითვე ძმური სიყვარულით უპასუხებს.

ამხანაგმა სტურუამ ქარხნის კოლექტივს ძღვნად მიართვა სუვენირები — ქართველ კერამიკოსთა ნამუშევრები.

სოციალისტური შრომის გმირი, ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის გამმართველი ი. ხაზარაძე კალიბრელებს ძმურად მიესალმა ქუთაისის ავტოქარხნის მრავალათასიანი კოლექტივისა და საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრის — ქუთაისის მშრომელთა სახელით. ჩვენი რესპუბლიკის წარმატებანი, საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე მიღწეული, თქვა მან, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, იმ მუდმივი ურთიერთდახმარების შედეგია, რომელსაც ერთმანეთს უწევენ საბჭოთა ხალხები. და უწინარეს ყოვლისა ეს არის დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების შედეგი. ამის მკაფიო მაგალითია ქუთაისს საავტომობილო ქარხანა, რომლის მშენებლობასა და ამუშავებაში უდიდესი მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა. ახლა ჩვენს ქარხანაში შრომობენ 25 ეროვნების წარმომადგენლები. ქარხანა დადგა საიუბილეო შრომითის ვახტზე. ახალი მარკის „ა-608 ავტომობილის ათვისება და გამოშვება ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა ერთ-ერთი პუნქტის რეალიზაციაა.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ემეთაურობ, ხუთ თვეზე უკვე გაანაღდა წლიური ვალდებულება. მიმდინარე ხუთწლედში ბრიგადა წარმოებაში დანერგავს 200 რაციონალიზატორულ წინადადებას, რომელთა ეკონომიური ეფექტი 100 ათასი მანეთი იქნება. ამხანაგმა ხაზარაძემ ქარხანა „კალიბრის“ მუშებს მოუწოდა დიდი ოქტომბრის სახელოვან დღესასწაულს შეხვდნენ ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ეკადრება.

მეტად მოხარული ვართ, რომ დღეს აქ, ჩვენს ქარხანაში ვხედავთ მზიური საქართველოს წარმომადგენლებს, თქვა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქარხანა „კალიბრის“ გამმართველმა ა. კარპოვმა. ჩვენმა ბრიგადამ სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარი საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად. ჩვენ ვიკისრეთ ვადამე, 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ საწარმოო დავალებანი. ბრიგადის ყველა წევრმა დაუპირა მხარი მოსკოველი მუშის ბ. ეილიკეის თაოსნობას, ანგარიში ჩაბარა საამქროს კოლექტივს და დაადასტურა კომუნისტური შრომის დამკვრელის სპპატო წოდება. ჩემი ბრიგადის წევრებმა დამავალეს ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადის ალმი გადმომეცა ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის.

ქართველი მწერალი კ. ლორთქიფანიძე ქარხნის კოლექტივს მიესალმა საქართველოს მწერლებისა და პოეტების სახელით. მან ილაპარაკა რუსი და ქართველი მწერლების დიდი ხნის მეგობრობის ტრადიციებზე; იმაზე, თუ როგორ ხვდებიან ქართველი მწერლები დიდი ოქტომბრის სახელოვან 50 წლისთავს, როგორ ასახავენ თავიანთ ნაწარმოებებში საქართველოს მუშათა კლასის სახელოვან საქმეებს, ძერჟის, რომლებიც რესპუბლიკაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

დასასრულ გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი.

• • •

ამავე დღეს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების დელეგაციის მეორე ჯგუფი შეხვდა მოსკოვის ბეწვეულის საწარმოთა გაერთიანება „ტრუდის“ კოლექტივს.

დიდხანს ეხსომებათ ეს დღე საქართველოს დელეგაციის წევრებსაც და დედაქალაქის ამ უნიკალური საწარმოს კოლექტივსაც.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება — ქართულად მიესალმნენ და ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ მუშა-მოსამსახურენი მზიური რესპუბლიკიდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს. მათ სტუმრებს დათვალიერებინეს საწარმოთა საამქროები და განყოფილებანი, გაიცვნეს მსოფლიოში საუკეთესო საბჭოთა ბეწვეულის წარმოების ტექნოლოგია, წარმატებანი.

საღილის შესვენების დროს გაერთიანების კლუბში გაიმართა ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის მიტინგი.

— ასეთი დღეები, ასეთი სტუმრობა და შეხვედრები, — თქვა მიტინგის გახსნისას გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. შჩეგოლევმა, კიდევ უფრო გვაახლოებენ, უკეთ გვაცნობენ ერთმანეთს, ემსახურებიან დიდი ლენინის მიერ ნაანდერძევი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ბეწვეულის საწარმოთა გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ბ. ეფრემოვამ ილაპარაკა კოლექტივის მუშაობაზე, იმაზე თუ როგორ უყვართ და აფასებენ ამ საწარმოებში ქართულ კულტურას.

— ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების არც ერთი საუკეთესო ნაწარმოება არ რჩება შეუმჩნეველი ჩვენს კოლექტივს, — განაცხადა ბეწვის გამომჭრელმა ტ. აკიმოვამ. სულით და გულით შევიყვარეთ ქართული სიმღერები და ცეკვები, საუკეთესო კინოფილმები და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ფესტივალი. საქართველოს კინოხელოვნების მოღვაწენი შეხვდნენ მომავალ მაყურებლებს, უამბეს მათ, თუ როგორ იქმნებოდა ესა თუ ის ნაწარმოები, გაუზიარეს მომავლის გეგმები.

პავილიონებში „ცენტრალური“, „საბჭოთა კულტურა“, „მეგალეობა და მევენახეობა“, „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“, „სახალხო განათლება“, „გეოლოგია“, „მშენებლობა“, „საქართველოს პარკი“ გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ცენტრალურ ესტრადაზე გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებმა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა.

• • •

8 ივნისს საქართველოს გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“ გამოუშვეს სპეციალური ნომრები, რომლებიც ეძღვნება მოსკოვში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დღეებს.

ზ. ლომიძე,
(საქდესის სპეც. კორ.).

• • •

მოსკოვი. 8 ივნისი. საქართველოს დღეები მოსკოვში. ქართველი სტუმრების ჯგუფი ეწვია მოსკოვის ქარხანა „კალიბრს“. სურათებზე: მარცხნივ — მიტინგი ქარხნის კლუბში; მარჯვნივ — ქართველი მსახიობები ესაუბრებიან ქარხნის მუშებს.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის ელჩი

8 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში სალაჰ ედ-დინ ტარაზი.

ა. ნ. კოსიგინსა და ს. ტარაზის შორის გაიმართა საუბარი, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბრის დროს მათ განიხილეს ურთიერთ საინტერესო საკითხები.

აქტიუბინსკის ოლქს გადასცეს ლენინის ორდენი

აქტიუბინსკი, 7 ივნისი. (საკდესი). დღეს მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრებაზე აქტიუბინსკის ოლქს გადასცეს ლენინის ორდენი, რომელიც მიენიჭა მარცვლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების გადიდებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა, რომელმაც ჯილდო გადასცა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით გულთბილად მიულოცა ოლქის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას. მან აღნიშნა აქტიუბინსკელთა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები, თქვა, რომ დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა უზბეთის მშენებლობაში. ორაკორმა აქტიუბინსკელებს უსურვა ახალი წარმატებანი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში გამოჩენილი საბრძოლო წარჩინებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა დიდი სამამულო ომის აქტიურ მონაწილეთა დიდი ჯგუფი, რომლებიც დაიჩინენ ბრძოლებში და წინათ არა ყოფილან აღნიშნული საბრძოლო ჯილდოებით.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია სამი კაცი, პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენით — 470, II ხარისხის სამამულო ომის ორდენით — 4856, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 8412, III ხარისხის დიდების ორდენით — 9121, მედლით „მამაცობისათვის“ 18.704, მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 14.311 და უშაკოვის მედლით — 2 კაცი.

სახალხო განათლების თანამედროვე პრობლემები

მოკავშირე რესპუბლიკების განათლების მინისტრთა თათბირზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო 8 ივნისს მოსკოვში, განიხილავენ სახალხო განათლების თანამედროვე პრობლემებს. დღის წესრიგში შეტანილია სამი ძირითადი საკითხი: დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის სკოლების მომზადების მსვლელობის შესახებ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდების პროექტის შესახებ, სახალხო განათლების დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ფორმების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

ლიტერატურის დარგში

1. ანდრონიკოვი ი. ლ. წიგნი „ლერმონტოვი. გამოჯვლეები და აღმოჩენები“.
წარმოდგინა გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“.
2. ბარუზდინი ს. ა. რომანი „ყარსელის განმეორება“.
წარმოდგინეს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, გამოცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“, ჟურნალ „ნევის“ სარედაქციო კოლეგიამ.
3. ბუბენინოვი დ. ნ. ლექსებისა და პოემების წიგნი „მე შენი ტოლი ვარ“.
წარმოდგინეს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის სარედაქციო კოლეგიამ, ჟურნალ „ნოვი მირის“ სარედაქციო კოლეგიამ.
4. კემპპე მ. ლექსების წიგნი „ზამის მარადიულობა“.
წარმოდგინა ლატვიის მწერალთა კავშირმა.
5. პანჩენკო პ. ე. ლექსების წიგნი „ციხემიდური“.
წარმოდგინა ბელორუსიის მწერალთა კავშირმა.
6. რზა რასული. ლექსების წიგნი „მე დედამიწა ვარ“.
წარმოდგინა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირმა.
7. სმალიკოვი ი. ვ. ლექსების ციკლი „რუსეთის დღე“.
წარმოდგინეს რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის სარედაქციო კოლეგიამ.
8. სუბოტინი ვ. ე. წიგნი „როგორ მთავრდება ომები“.
წარმოდგინა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირმა.

მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში

1. ბაგიჩევაძე რ. ბ. სიმფონია სიმებიანი საკრავების, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის.
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
2. ზარინი ვ. ნ. „მახაგონი“ ორატორია, ტექსტი ალფრედ კრუკლისისა და ლენსტონ ჰიუზისა.
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
3. პეტროვი ა. ვ. 1964-1965 წლების სიმღერები („სიმღერა მამაზე“, „ცისფერი ქალაქები“, „სიმღერა მეგობარზე“, „ყორღანზე“, „დადგვარ მოსკოვის ქუჩებში“).
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
4. სვირიდოვი გ. ვ. „კურსკის სიმღერები“ შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (ხალხური სიტყვები).
წარმოდგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირმა.
5. თაქთაქიშვილი ო. ვ. „რუსთაველის ნაკვალევზე“ ორატორია. ტექსტი ირაკლი აბაშიძისა.
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
6. ხრენიკოვი ტ. ნ. საინსტრუმენტო კონცერტების ციკლი: კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის.
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
7. ჩაიკოვსკი ბ. ა. კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის.
წარმოდგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირმა.
8. შოსტაკოვიჩი დ. დ. „სტეფანე რაზინის სიკვდილი“ დასტა“ პოემა ბანისთვის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ტექსტი ე. ევტუშენკოსი.
წარმოდგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
9. შჩედრინი რ. კ. „სალდაბინ შაირები“ (კონცერტი ორკესტრისათვის).
წარმოდგინა სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა.
10. ეფრემოვი ა. ა. — რუსეთის რესპუბლიკური აკადემიური საგუნდო კაპელის მხატვრული ხელმძღვანელი. 1964-1965 და 1965-1966 წლების სეზონების საკონცერტო პროგრამები.
წარმოდგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, ვორონეჟის შრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველომ, რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირის ვორონეჟის განყოფილებამ.

სახვითი ხელოვნების დარგში

1. ბელაშოვა ე. ფ. ქანდაკებათა სერია „ადამიანი, რომელიც ქმნის საგმაურს“ („ოცნება“, „ზღია კოსმოდემიანსკაია“, „ა. დ. პოპოვის პორტრეტი“, „ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია“, „ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინი. 1837“).
წარმოდგინეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, აზერბაიჯანის მხატვართა კავშირმა, ლიტვის მხატვართა კავშირმა, მოსკოვის უმაღლესმა სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელმა (ყოფილი სტროგანოვის სასწავლებელი).
2. ბერძენიშვილი მ. ი. დავით ბურამეშვილის ძეგლი ქალაქ თბილისში.
წარმოდგინეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს მხატვართა კავშირმა, თბილისის სამხატვრო აკადემიამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა, თბილისის ფოლად-თუჯასამსხმელო ქარხნის კოლექტივმა.
3. ბერიაშვილი ვ. ნ. ნ. გოგოლის წიგნის „პეტერბურგის მოთხრობების“ ილუსტრაციები.
წარმოდგინეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, ჟურნალ „იუნოსტის“ სარედაქციო კოლეგიამ.
4. ზარინი ნ. ა. ტრიპტიხი „რევოლუციის ჯარისკაცები“ („დავალებით“ (კრემლის შიგრიკი), „საგუშაგოზე“, „სიტყვა“) და სურათი „ნაპირწაღელი“.
წარმოდგინეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, ლატვიის მხატვართა კავშირმა.
5. კიბრიკი ე. ა. ა. ს. პუშკინის დრამის „ბორის გოდუნოვის“ ილუსტრაციები.
წარმოდგინა რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირმა.
6. კლიჩოვი ი. ნ. სურათების სერია „ჩემი თანამემამეები“ („მე და დედაჩემი“, „ლეგენდა“, „ცხვრის მპარსავები“, „უდაბნო“, „ბელუჯები“).
წარმოდგინეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, თურქმენეთის მხატვართა კავშირმა, აზერბაიჯანის მხატვართა კავშირმა.
7. სტომკუსი ა. ვ. ვიტრაჟები: „სიცოცხლის სიმღერა“, „მიწა-მშობელი“.
წარმოადგინა ლიტვის მხატვართა კავშირმა.
8. ხოლუევი ვ. ფ. სურათი „რევოლუციის ჯარისკაცები“.
წარმოადგინა რუსეთის სფსრ მხატვართა კავშირმა.

თეატრალური ხელოვნების დარგში

1. ვოლჩეკი ბ. ბ. — რეჟისორი, კოზაკოვი მ. მ., ტაბაკოვი ი. პ. — როლების შემსრულებლები. მოსკოვის თეატრ „სოვრემენიკის“ სპექტაკლი „ჩვეულებრივი ადამიანი“.
წარმოადგინეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სარედაქციო კოლეგიამ, ჟურნალ „თეატრის“ სარედაქციო კოლეგიამ, ჟურნალ „იუნოსტის“ სარედაქციო კოლეგიამ, სკკპ ლენინგრადის რაიკომმა და ქალაქ მოსკოვის ლენინგრადის რაისაბჭოს აღმასკომმა, მოსკოვის მე-2 საათის ქარხანამ.
2. ირლი კ. ბ. ესტონეთის ქალაქ ტარტუს თეატრ „ვანემუინენი“ სპექტაკლების „ველური კაპიტნის“, „ბედნიერ ბაზრენის“, „მამაკაცთა სიმღერების“, „კორიოლანეს“ დადგმა.
წარმოადგინეს ჟურნალ „თეატრის“ სარედაქციო კოლეგიამ, ესტონეთის სსრ კულტურის სამინისტრომ, ესტონეთის სსრ მწერალთა კავშირმა, ესტონეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირმა, ესტონეთის სსრ თეატრალურმა საზოგადოებამ.
3. ანნაზუმა ლ. ნ. მოსკოვის მოზარდ მაყურებლთა თეატრის სპექტაკლებში „ეძებენ მზად, თქვენო შვილღლესობამ!“ და „ჯაზარას მოკვლა სად გაბონილა“ უფლისწულ დელიხიარ სურამბუკისა და დიდთვალას როლების შესრულება.
წარმოადგინა სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ.
4. რავენსკიხი ბ. ი. სპექტაკლ „ბატეხილი ყამირის“ დადგმა მოსკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში.
წარმოადგინეს რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველომ, ჟურნალ „ტეატრალნაია ჟიზნის“ სარედაქციო კოლეგიამ, მოსკოვის მე-2 ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანამ.
5. ჩეხანოვი ვ. ნ. ამ ბოლო წლების სპექტაკლებსა და ფილმებში ვ. ი. ლენინის სახის შექმნა.
წარმოადგინეს რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველომ, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების ლენინგრადის განყოფილებამ, ჟურნალ „ტეატრალნაია ჟიზნის“ სარედაქციო კოლეგიამ, ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა, ლენინგრადის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამის აკადემიურმა თეატრმა.

კინემატოგრაფიის დარგში

1. ქალაბეკოვიჩიუსი ვ. ბ. — რეჟისორი და სცენარის ავტორი, ბრაზაუსი ი. ა. — ოპერატორი, ბანეინისი დ. ი., ოია ბ. ვ. — როლების შემსრულებლები. მხატვრული ფილმი „სიკვდილი არავის უნდოდა“. ლიტვის კინოსტუდიის ნაწარმოები.
წარმოადგინა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა.
2. იბრაგიმოვი ა. ვ. — რეჟისორი, პეტრიჩენკო კ. ნ.— ოპერატორი, სპიდბეკელოვი ე. ვ. — მხატვარი, სამოილოვი ვ. ი., ისმანლი ი. ო., ისკანდეროვი ა. რ. — როლების შემსრულებლები. მხატვრული ფილმი „26 ბაკოელი კომისარი“ კინოსტუდია „აზერბაიჯანფილმისა“ და კინოსტუდია „მოსფილმის“ ნაწარმოები.
წარმოადგინეს აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა, აზერბაიჯანის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, კინოსტუდია „მოსფილმმა“.
3. პარაჯანოვი ს. ი. — რეჟისორი, ილიენკო ი. ბ. — ოპერატორი. მხატვრული ფილმი „დაპიწყებულ ჩინაპართა აჩრდილები“ — კიევის ა. დოვჟენკოს სახელობის მხატვრული ფილმების კინოსტუდიის ნაწარმოები.
წარმოადგინა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა.
4. ხიბრუკი ფ. ხ. — რეჟისორი. მულტიპლიკაციური ფილმები „ერთი დანაშაულის ამბავი“, „ბინიფაციის არდადეგები“ — კინოსტუდია „სოიუზმულტფილმის“ ნაწარმოები.
წარმოადგინა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა.
5. იუტკევიჩი ს. ი. — რეჟისორი და სცენარის ავტორი, ბაბრილოვიჩი ვ. ი. — სცენარის ავტორი. მხატვრული ფილმი „ლენინი პოლონეთში“ — კინოსტუდია „მოსფილმისა“ და შემოქმედებითი გაერთიანება „სტუდიოს“ (ვარშავა) ნაწარმოები.
წარმოადგინეს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა, ტაჯიკეთის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, კინოსტუდია „მოსფილმმა“.
6. იარმატოვი კ. ი. — რეჟისორი, ბუზხანოვი შ. — ოპერატორი. მხატვრული ფილმი „ქარიშხალი აზიაში“ — კინოსტუდია „უზბეკფილმის“ ნაწარმოები.
წარმოადგინეს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირმა, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინემატოგრაფიის კომიტეტმა, უზბეკეთის კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

არქიტექტურის დარგში

1. ეგერევი ვ. ს., კუბასოვი ვ. ს., ნოვიკოვი შ. ა., პალეი ბ. ვ., პოპოროსკი ი. ა., ხაჟაკიანი მ. ნ. — არქიტექტორები, იორნოვი ი. ი. — ინჟინერი. მოსკოვის პიონერთა სასახლის არქიტექტურა.
წარმოადგინა სსრ კავშირის არქიტექტურის კავშირის მოსკოვის განყოფილებამ.
2. მილიცკი ა. მ., ბილსკი ე. ა. — არქიტექტორები, პეზენოვი ა. ნ., ლენინი ნ. ნ. — ინჟინერები. ქალაქ კიევის პიონერთა სასახლის კოლექტივი.
წარმოადგინეს ქალაქ კიევის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ, უკრაინის სსრ არქიტექტორთა კავშირმა, უკრაინის კომკავშირის ცენტრალურთა კომიტეტმა, უკრაინის მწერალთა კავშირის გიბეგეუბამ, ქალაქ კიევის პიონერთა სასახლის კოლექტივმა.
3. პოლიანსკი ა. ტ., ფეტუხინი დ. ს. — არქიტექტორები, რაცკევიჩი ი. ვ. — ინჟინერი, არტკინ ბ. ს. ლენინის სახელობის სპორტულ პიონერთა ბანაკის „პიბრიგადნის“ კომპლექსის არქიტექტურა.
წარმოადგინეს სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურთა კომიტეტმა, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ, მოსკოვის უმაღლესმა სამძიგურო-სამრეწველო სასწავლებელმა (ყოფილი სტროგანოვისა).
ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ზოგიერთი კანდიდატურა, მათი განხილვის შემდეგ, კომიტეტმა გადაიტანა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად.
კომიტეტს არ განუხილავს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ლენინური პრემიების ლაურეატთა ახალი ნაწარმოებები, თუ მათი ავტორებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შემდეგ გასულია ხუთ წელზე ნაკლები.
კომიტეტს განსახილველად არ მიუღია აგრეთვე ნაშრომები, რომლებსაც უკვე მიენიჭათ სახელმწიფო რესპუბლიკური პრემიები.

* * *

სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომების ფართოდ გაცნობის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტი აწყობს გადაცემათა ციკლს რადიოთი და ტელევიზიო ცენტრებით, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტი — წარმოდგენილი ფილმების დემონსტრაციას ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები ნაჩვენები იქნება სპეციალურ გამოფენაზე, რომლის განხსნაც ცალკე გამოცხადდება.

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისათვის დიდი დახმარება იქნება, თუ წარმოდგენილ ნაშრომებს აქტიურად განიხილავენ საბჭოთა პრესის ორგანოები და ფართო საზოგადოებრიობა. კომიტეტი მადლობელი იქნება შემოქმედთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, კულტურის დაწესებულებებისა და მშრომელთა კოლექტივებისა, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ კანდიდატურათა განხილვაში და თავიანთ აზრს, წინადადებებსა და შენიშვნებს გამოთქვამენ პრესის ფურცლებზე, ან კომიტეტისათვის გამოგზავნილ წერილებში (მოსკოვი კ. 51, ნეგლინნაია ქუჩა, 15).

ჩავაქროთ ომის კერა ახლო აღმოსავლეთში!

ვარშავა. პოლონეთის პრესა გმობს ისრაელის იმპერიალისტურ აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. დღეს, როცა აქუხდნენ ბომბები, წერს „გლოს პრაცი“, ვითარება ძალიან გართულდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გვიან ომის კერის ჩაქრობა. მთელი დამჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკამ წააქეზა ისრაელის ექსტრემისტული და ნაციონალისტური ძალები, რომლებიც ცდილობდნენ შეტაკებოდნენ არაბულ სამყაროს. გაზეთი „ეოლნენუ ვოლნოსტი“ აცხადებს, რომ ისრაელის მთავრობამ დაუყოვნებლივ და უსიტყვოდ უნდა შეწყვიტოს საომარი მოქმედება.

ბუდაპეშტი. უნგრეთის პრესაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მასალებს ახლო აღმოსავლეთის სამხედრო კონფლიქტის შესახებ. გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ სათაურით „დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლი, ბოლო მოეღოს ხისლისღვრას ახლო აღმოსავლეთში“, აქვეყნებს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის არპად პუელაის სიტყვის შინაარსს, რომელიც მან უნგრეთის რკინიგზელთა პროფკავშირის ყრილობაზე წარმოთქვა. გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა“ ამ სიტყვის შინაარსი ასეთი სათაურით დაბეჭდა „ვგმობთ ისრაელის აგრესიას, სოლიდარობას ვუცხადებთ არაბ ხალხს“.

კატეგორიულად ვგმობთ ისრაელის აგრესიას და სრულ სოლიდარობას ვუცხადებთ იმ არაბ ხალხებს, რომლებიც იმპერიალისტური აგრესიისაგან და ჩარევისაგან იცავენ თავის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, თქვა, კერძოდ ა. პუელაიმ.

სოფია. შეეხო რა არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ისრაელის აგრესიას, ბულგარეთის გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ წერს: საჭიროა დროულად მოვსპოთ საფრთხე, რომელიც საყოველთაო მშვიდობას ეშუქრება. მოვსპოთ მანამდე, სანამ იგი გამოიწვევდეს რაიმე სავალალო შედეგებს.

ბელგრადი. მთელ იუგოსლავიაში მოეწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ალჟირისა და სხვა არაბული ქვეყნების ხალხებთან სოლიდარობის მიტინგები. მშრომელები დიდ აღშფოთებას გამოთქვამენ ისრაელის აგრესიის გამო და მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ იგი.

სამრეწველო საწარმოთა, უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უგზავნიან წერილებსა და დეპეშებს, რომლებშიც მოუწოდებენ სასწრაფოდ განახორციელოს ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის აღსადგენად საჭირო ღონისძიებანი.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის დამცველთა კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გმობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ავანტიურისტულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთის მიმართ. სოლიდარობას უცხადებს არაბულ სახელმწიფოთა ხალხებს.

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გუს ჰოლმა გამოაქვეყნა განცხადება ახლო აღმოსავლეთში დაწყებულ კონფლიქტთან დაკავშირებით.

როგორიც უნდა იყოს შეხედულებანი შუა აღმოსავლეთის კრიზისის გამო, ნათქვამია განცხადებაში, შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: ეს არის უსამართლო ომი. ეს არის ომი, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ამერიკისა და ინგლისის ნავთობის მონოპოლიებისათვის. შუა აღმოსავლეთის პრობლემები ვერ გადაიჭრება შეიარაღებული კონფლიქტის გზით. „უწინარეს ყოველისა საჭიროა, — აღნიშნულია განცხადებაში, — რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავი აარიდოს ყოველგვარ სამხედრო ჩარევას და მკაფიოდ განაცხადოს, რომ არ გაუწევს სამხედრო დახმარებას არც ერთ მხარეს. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა თქვას, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ჯარების გამოყვანასა და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრას“.

ყაბარჩი. ისრაელის აგრესიამ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ პაკისტანის მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენების პროტესტები გამოიწვია. ლაჰორში, რავალპინდიში, ყარაჩსა და პაკისტანის სხვა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები. მოეწყო ეროვნული კრების სხდომა, რომელმაც განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კრიზისის საკითხი. ეროვნული კრების 16 დეპუტატმა, პაკისტანის პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობის წარმომადგენლებმა, სხდომაზე გულისწყრომით დაგმო ისრაელის ხელმძღვანელთა და მათ წამქეზებელ ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა პოლიტიკა. ისრაელის მოქმედება ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აბუჩად აგდებაა, განაცხადა შამ აზიზურ რახმანმა, რომელმაც გახსნა კამათი. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში. (საკდესი).

ი. განდის განცხადება

დელი, 7 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი დღეს მიესალმა უშიშროების საბჭოს მოწოდებას დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი ახლო აღმოსავლეთში. მან ეს განცხადება გააკეთა შტატების საბჭოში და „დამაიმედებელი“ უწოდა ამ ღონისძიებას. ინდირა განდიმ განაცხადა, რომ ჯარების გამოყვანის საქმე „გაუჭიანურებლად უნდა განიხილონ უშიშროების საბჭოში“.

სოლიდარობა, მხარდაჭერა

კუნაკრი, 8 ივნისი. (საკდესი). გვინეის პრეზიდენტმა სეკუ ტურემ დაადასტურა, რომ გვინეის ხალხი მხარს უჭერს არაბთა ქვეყნების ბრძოლას იმპერიალიზმისა და მისი დამქაშის — ისრაელის წინააღმდეგ.
სეკუ ტურემ განაცხადა, რომ საქმე, რომელსაც იცავენ არაბები, განუყოფელია აფრიკის ხალხების მისწრაფებებისაგან. მან ხაზი გაუსვა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხმა შეიგნო არაბთა სახელმწიფოების ბრძოლის სამართლიანობა.
პრეზიდენტმა თქვა, რომ არაბთა ქვეყნების მეგობრებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმპერიალიზმის მოგერიების უზრუნველსაყოფად და ხაზი გაუსვა, რომ გვინეის მთავრობა სწორედ ამ მიმართულებით იმოქმედებს.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲔ-2 ᲒᲕᲘᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1967 Წ.

ჰანოი, 7 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ სრული სოლიდარობით ეკიდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს, რომელიც ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ იბრძვის, ნათქვამია პრეზიდენტ ხო ში მინის წერილში პრეზიდენტ ნასერისადმი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ისრაელ რეაქციონერთა აგრესიას, რომელიც იმპერიალისტთა წაქეზებითა და დახმარებით ჩაიდინეს, და გადაჭრით მოითხოვს, რომ ეს აგრესია დაუყოვნებლივ შეწყვიტონ.
აგრესია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხაზგასმულია წერილში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს შუა და ახლო აღმოსავლეთში და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართალს. არაბი ხალხის ბრძოლას, უეჭველია, დიდი თანაგრძნობით მოეკიდება და მხარს დაუჭერს ყველა ხალხი და ქვეყანა, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა.

სოფლიო ფოსტა

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 7 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი და ს. ლოსევი იუწყებიან:

საერთაშორისო მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

□ უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა □ იორდანია დაეთანხმა რეზოლუციას □ სომალი ეხმარება არაბებს □ ბეირუთის რადიოს ცნობა □ აქიოტაქი ნიუ-იორკის ბირჟაზე □ არაბული ქვეყნების მთავრობათა გადაწყვეტილება □ ისრაელი განაგრძობს აგრესიას

ღღეს საბჭოთა კავშირის მოთხოვნით გაიმართა უშიშროების საბჭოს სასწრაფო სხდომა იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ისრაელ აგრესორთა საომარი ოპერაციები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.
მიღებული ცნობები, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ნ. ტ. ფედორენკომ, ცხადყოფენ, რომ აგრესორის ჯარები გასაგრძობენ საომარ მოქმედებას, მიეხედავად უშიშროების საბჭოს მითითებისა ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ახლა არ შეიძლება საქმის გადადება და გაჭიანურება, განაცხადა მან, რადგან მოვლენათა შემდგომი განვითარება კიდევ უფრო საშიშ ვითარებას შექმნიდა ახლო აღმოსავლეთის რაიონში. ისრაელმა გადაუდებლად და უშენიშვნოდ უნდა შეწყვიტოს აგრესია არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.
საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელშიც ნათქვამია: „უშიშროების საბჭო აღნიშნავს, რომ, თუმცა დაიტერესებულ მთავრობებს მოუწოდა გადაედგათ პირველი ნაბიჯი და გადაუდებლად ეხმარათ ყოველი ღონე ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მთელი საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის ახლო აღმოსავლეთში, საომარი მოქმედება ამ რაიონში მაინც გრძელდება. შეფიქრიანებული იმით, რომ საომარი მოქმედების განგრძობამ შეიძლება კიდევ უფრო საშიშ ვითარება შექმნას ამ რაიონში, უშიშროების საბჭო

1. მოითხოვს, რომ დაინტერესებულმა მთავრობებმა გადადგან პირველი ნაბიჯი და შეწყვიტონ ცეცხლი და მთელი საომარი მოქმედება 1967 წლის 7 ივნისს 20 საათზე გრინვიჩის დროით.

2. სთხოვს გენერალურ მდივანს სწრაფად და მოვლენათა განვითარების კვალობაზე აცნობოს ხოლმე საბჭოს რა სიტუაცია შეიქმნება“.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა ნ. ტ. ფედორენკომ, ითვალისწინებს რა ვითარების სერიოზულობას, მოითხოვს დაუყოვნებლივ ეყაროს კენჭი რეზოლუციის პროექტს. საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება გუშინდელი რეზოლუციის შესრულების შესახებ.
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ საომარი მოქმედება გრძელდება რამდენიმე პუნქტში, მაგრამ არ მოეპოვება დაწვრილებითი ცნობები ბრძოლების მსვლელობის შესახებ.
გენერალურმა მდივანმა აგრეთვე აცნობა, რომ მოუვიდა იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა, რომელშიც იუწყება, რომ იორდანიის ჯარებს ებრძანათ შეწყვიტონ ცეცხლი.
შემდეგ საბჭომ 15 წუთით შეწყვიტა მუშაობა, რათა საშუალება მიეცა დელეგატებისათვის უკეთ გასცნობოდნენ საბჭოთა რეზოლუციის პროექტს.
ხანმოკლე შესვენების შემდეგ უშიშროების საბჭომ კენჭი უყარა საბჭოთა რეზოლუციის პროექტს და ერთხმად მიიღო.

ლონდონი, 7 ივნისი. (საკდესი). იორდანიის პრემიერ-მინისტრმა საად ჯუმაამ დღეს განაცხადა, რომ იორდანია ეთანხმება უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და, როგორც რეიტერის საგენტმა ამანელი კორესპონდენტი იუწყება, ეს აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს. იორდანიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია არაბთა გაერთიანებულ სარდლობასთან კონსულტაციების შემდეგ.

მოგადიშო, 7 ივნისი. (საკდესი). სომალის რესპუბლიკამ ეთიოპიის მიმართა თხოვნით ნება დართოს სომალის სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიფრინავენ, გადაუფრინონ ეთიოპიის ტერიტორიას. ეთიოპიის მოგადიშოს საელჩოსადმი ნოტაში სომალის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ეს თხოვნა გამოწვეულია სომალის მთავრობის გადაწყვეტილებით სამხედრო დახმარება გაუწიოს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ისრაელის აგრესიის მოგერიებაში.

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკდესი). ახლოშეიღტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ბეირუთის რადიოს, იუწყება, რომ გუშინ ისრაელის თვითმფრინავებმა „სცადეს გაეფრენიათ ერაყის საჰაერო სივრცე დასავლეთის საზღვარზე“ და რომ ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს ისრაელის სამი თვითმფრინავი და ტყვედ ჩაიგდეს მფრინავები.

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკდესი). ნიუ-იორკის საფონდო ბირჟამ უმაგალითო აჟიოტაჟით უპასუხა იმას, რომ გრძელდება ისრაელის აგრესია არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ. მკვეთრად აიწია მეტი წილი კომპანიების აქციათა კურსმა.

ალჟირი, 8 ივნისი. (საკდესი). ალჟირის მთავრობამ მიიღო დადგენილება სრულიად შეწყვიტოს თავისი საქონლის ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში.

მოგადიშო, 8 ივნისი. (საკდესი). სომალის ეროვნულმა კრებამ განიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა და მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა, რომ სავსებით უპერს მხარს არაბულ სახელმწიფოებს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სესიაზე გამოვიდა პრემიერ-მინისტრი აბდირიზაკ ჰაჯი ჰუსეინი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა ღონის



საქართველოს დღეები მოსკოვში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითადი სტუმარ-მასპინძლობა სალამი მოსკოველებს

მოუთმენლად ველი

ვ. სოკოლოვი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი.

◆

მოსკოველს, როგორც ხელოვნების მოღვაწეს, გულწრფელად მიბარია შეხვედრა შესანიშნავი ქართული ხელოვნების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩამოდიან აქ, მოსკოვში, საქართველოს დღეებში მონაწილეობის მისაღებად. მე დიდი ხანია ვიცნობ საქართველოს მუსიკალურ ლიტერატურას, უწინარეს ყოვლისა საგუნდო მუსიკას, ხშირად ვხვდები საბჭოთა საქართველოს ხელოვნების მოღვაწეებს და მიმაჩნია, რომ ეს ხელოვნება ძალიან მაღალ იდეურ-ესთეტიკურ დონეზე დგას. ჩემი აზრით, ქართული ხელოვნების მთავარი ღირსებაა ის, რომ ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში სათუთად დაცულია ხალხური ტრადიციები, რომლებმაც ყველაზე მეტი ასახვა ჰპოვეს გუნდურ ხელოვნებაში. ძველი ტრადიციების შესანარჩუნებელ მუსიკალურ ენაში ღრმად ჩაწვდომასთან ქართული მუსიკალური ხელოვნების უმნიშვნელესი თვისებაა, რომელიც განსაცვიფრებელ შედეგებს იძლევა.

ქართული მუსიკის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც არიან ო. თაქთაქიშვილი, ა. მაჭავარიანი და ახალგაზრდა კომპოზიტორთა მთელი პლეადა, გვახარებენ თავიანთი ახალი ნამუშევრებით, რომლებიც მოწმობენ მაღალი მხატვრულობის საღებავთა მრავალფეროვნებას.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მომავალი შეხვედრა საქართველოს მოღვაწეებთან. იგი უწინარეს ყოვლისა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების მუსიკალურ კულტურათა დაახლოებას. დედაქალაქის მუსიკალურ მოღვაწეთა კონტაქტები თავიანთ ქართველ კოლეგებთან უეჭველად გაამდიდრებს ჩვენი გუნდების რეპერტუარს. შეიძლება აგრეთვე ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ რუსული საგუნდო ხელოვნების ბრწყინვალე საუნჯის ნაწარმოებები კიდევ უფრო აღელვრდება საქართველოს ეთერში.

მოუთმენლად ველი შეხვედრას ჩემს ნიჭიერ კოლეგებთან მოძმე რესპუბლიკიდან, დიდად გამახარებს მათი წარმატებები, რომლებიც უეჭველად მოელის მათ დედაქალაქში.

ბ ედნიერება მხვდა წილად საქართველოს მრავალ წარგზავნილთან ერთად მონაწილეობა მიეიღო ძმობისა და მეგობრობის გამომხატველ დიდ ღონისძიებაში, რომელსაც მოსკოვში „საქართველოს დღეები“ ჰქვია.

— „ოჩამჩირელთა გულთბილი სალამი გადაეცით მოსკოველებს, — დამაბარა ჩვენი რაიონის სოფელ ჭლოუს 119 წლის მოხუცმა ალექსი ცვიშბამ.

ოჩამჩირის რაიონის მშრომელები დაუღალავი შრომით განამტკიცებენ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საძირკველს. განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ საიუბილეო წელს მეჩაიეები, მეთამბაქოეები, მესიმინდეები და მეცხოველეები.

მ ოსკოვი გულთბილად ხვდება საქართველოს კვირეულის მონაწილეებს. ცენტრალური ტელევიზია აწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების ფართო ჩვენებას.

საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი გადაცემები მ ივნისს დაიწყო. თბილისელმა მაყურებლებმა ნახეს კვირეულის საზეიმო გახსნა კრემლის თეატრიდან და თბილისის ტელესტუდიის შემოქმედებითი ანგარიში.

ჩვენი ქვეყნის ტელემაყურებლებისათვის დიდი და მრავალფეროვანი პროგრამა მოამზადა თბილისის ტელესტუდიამ. პროგრამა იხსნება გადაცემით „მოგზაურობა საქართველოში 1967 წელს“. 30 წუთის განმავლობაში მაყურებლებს ელით წარმტაცი მოგზაურობა მრავალსაუკუნოვან საქართველოში, რომელიც დღითიდღე მშვენიერდება და ახალგაზრდავდება.

„თოლია“— ასე ეწოდება სატელევიზიო ჟურნალს ახალგაზრდობისათვის. ჟურნალის პროგრამა მთავრდება სატელევიზიო ფილმის „ჩაი ჩვენი ქართულის“ პრემიერით და რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტით.

9 ივნისს ცენტრალური ტელევიზია მაყურებლებს იწვევს მოსკოვის ქარხანა „კალიბრში“, სადაც მოეწყობა საქართველოს მშრომელთა შეხვედრა ქარხნის კოლექტივთან, აგრეთვე — საქართველოს სსრ ეროვნულ დღესასწაულზე, რომელიც გაიმართება სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

შაბათს, 10 ივნისს დღის პროგრამაში შეტანილია გადაცემა საქართველოს მეცნიერებაზე, საღამოს კი „დავსწრებით“ ქართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

კპირას კვლავ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან იქნება გადმოცემა. აქ პავილიონ „სოფლის მეურნეობაში“ შეხვედრაა ქართველ მეჩაიეებთან.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ კვირეულის დღეებში ცისფერ ეკრანთან შეხვდებით ქართული ესტრადის ოსტატებს, ვნახავთ სატელევიზიო სპექტაკლს „თქვენ რომ იცოდეთ“, მხატვრულ კინოფილმს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“. ნაჩვენები იქნება სატელევიზიო ფილმები „ქორწილი“, „ფანჯარა“, „მე თვითონ“, „სპორტსმენები“, „შეტოქენი“, „ქალაქის გული“.

მაშ ასე, ცენტრალური ტელევიზია მიწვევთ ცისფერ ეკრანებთან.

ეთერში საქართველო

ცენტრალური ტელევიზია მიწვევთ ცისფერ ეკრანებთან

ი. ამიჩბა,

საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი.

◆

მეჩაიეები სეზონში გეგმით გათვალისწინებული 11.050 ტონის ნაცვლად მოკრეფენ 11.450 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს. მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 4 ტონას მიაღწევს.

გაზაფხულის არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად მაღალი მოსავლისათვის ლაშქრობა წარმატებით მიმდინარეობს. სეზონის დაწყებიდან გასულ მოკლე ხანში უკვე მოიკრიფა და ფაბრიკებს ჩაბარდა 3.600 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

ოჩამჩირელი მეჩაიეები მაისი-ივნისის დავალებას 15 ივნისისათვის შეასრულებენ, აგვისტოს ბოლოს კი წლიური გეგმის განაღდებას უპატაკებენ სამშობლოს. სოციალისტური შეჯიბრების სათავეში პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები არიან.

მაღალხარისხიანი შრომა უხვად ანაზღაურდება. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის კოლმეურნეობების სალაროებში 10 დღეში მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის საფასურად 3 მილიონი მანეთი შევიდა.

კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდება და გალამაზდება საიუბილეო წელს რაიონის ცენტრი და საკოლმეურნეო სოფლები. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ოჩამჩირეში აღიმართება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი, დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი. ახალი სასწავლო წლისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა საშუალო სკოლების ახალი შენობები, სოფლებს დაამშვენებს კულტურის ახალი სახლები.

ჩვენი რაიონის ადამიანები საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად ღირსეულად შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

მოსკოვი. საქართველოს სსრ დღეები მოსკოვში. სურათებზე: ზემოთ — მარცხნიდან — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. შაპოშნიკოვა, მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. წითლიძე, ბათუმის რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ი. ძიპაშვა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რაციონალიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. მეტრეველი და სკკპ მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი ო. პრივოშვილინა წინა მოედანზე; ქვემოთ — მარცხნიდან — კომპოზიტორი ს. ბაშლიკოვი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი.

ფოტო საქდესის სპეც. კორ. ... კიკვაძისა.

... ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს ეზოში ვიწრო ლიანდაგზე პატარა ორთქლმავლებს „ყურები ამოუყრიათ“, ათეული წლების წუმაობით ჭეარტლისაგან გამოყოლილი შურის თავლით უცქერიან ერთიანთ შემცველებს, „ნს-11-01“ ტიპის ელმავლებს, რომელთა ... ბორჯომი — მოძმე ქვეყნებში ... ბაირწო. ახლა დეპოში 12 ასეთი „ტრაქნის რაში“ დგას. ორ მათგანს ... საზეიმოდ რთავენ. არც ფორ... ათ, არც სიძლიერით არ ჩაგვანან ... ისინი ჩვეულებრივ ელმავლებს. ... მათი ბიოგრაფიული მონაცე... ებიც: დაიბადნენ ჩეხოსლოვაკი... ს ქალაქ დუბნიცაში, ჩეხი და ... საბჭოთა კონსტრუქტორების ერთ... ობლიანი ჩანაფიქრით. პატარა ... ელმავლის სიგრძე თოთხმეტი მე... ტრია, სიმაღლე — პანტოგრაფს ... ერ აწევთ ელეთ — შუა ნაწილ... ი ოთხ მეტრამდეა. იწონის 56 ... ტონას, მისი კონსტრუქციული სი... ქარე საათში 45 კილომეტრია. ... უშაობს 1500 ვოლტზე.

... შეიძლება ამ „ავიზას“, რო... ორც მას ერთმა პოეტმა ხატოვ... ად შეარქვა, ჩეხოსლოვაკია-... საბჭოთა კავშირის და სპერთოდ ... ოფლიოს ხალხთა დამშეგობრე... ული ვუწოდოთ, რადგან ისეთ ... პულარულ კუროორტზე, როგო... ც ბაკურიანია, ბორჯომიდან ... საათნახევარში აიყვანს დამა... ნებლებს და საზამთრო სპორ... ის მოყვარულებს.

... 7 ივნისი. დადგა ბორჯომის ... ინიგზელთა ისტორიის ბრწყინ... ული წუთები. აქ ეს-ეს არის უნდა ... ორქმედეს საბჭოთა კავშირში ... ერული ელექტროფიცირებული ... წროლიანდაგიანი უბანი ბორ... ომ-ბაკურიანი. რკინიგზის სად... ური საზეიმოდ არის მორთული. ... ლაქის ქუჩებიდან უწყვიტ ნა... დად მოდიან მშრომელები, ყვა... ლებით ხელდამშვენებული პიო... ერები. სადგურის ბაქანზე ხალხის ... ბრავალეა, რომ იტყვიან, ნემსი ... ჩავარდება. პირველ ლიანდა... ე ჩამოდგა პატარა მატარებე... ი ბორჯომი-ბაკურიანი. უყურებ, ... თვალს არ უჯერებ, ვერ წარ... ოიდგენია, რომ ამ პატარა ... ონრებს თავში აღარ უდგას ... ულმავლი. მისი ადგილი პატარა ... ელმავლებს დაუკავებიათ.

... ცნობისმოყვარეობით ათვალიე... ებენ სადგურში მოსულები სა... ემოდ მორთული ელმავლებს. ... ერეულზე ლენინის დიდი პორ... ეტი აღმართული, რომელიც ... ელების თაიგულებით არის ... შვენებული. ბევრი ელმავლის ... ანაშიც კი შევიდა.

... ახლა მის კაბინაში ვახტანგ თე... ბილი ელექტრომოწყობილო... ბ მასჩერებია, ერთხელ კიდევ ... ეშებს, რადგან დღეს ამ ელმა... ლმა და თვითონაც უკანასკნე... ი გამოცდა უნდა ჩაბარონ, ... ანაც ამდენი ხალხის დასწრებით. ... ბარს არ იტეხს მეელმავლე, ... რამ საბუნე ეტყობა ღელავს. ... ელავ უფრო მოემატა, როცა ... ორჯომ-პარკს თბილისიდან ჩა... ასულმა ელმავლმა მოაკვანა

კომუნისტი
№ 3-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ,
9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1967 Წ.

ელმავალი პრეზიდენტის ასაფრენზე

რეპორტაჟი

... ...

აირჩიე, სად გსურს ისწავლო!

ცნობათა ჟურნალი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1967-68 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით (დასწრებულ) და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (დაუსწრებელ) სწავლებაზე შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგრონომია (ქართული და რუსული სექტორები. რუსული სექტორი მხოლოდ დაუსწრებელ სწავლებაზე); **2. აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა; 3. მცენარეთა დაცვა** (ქართული და რუსული სექტორები. რუსული სექტორი მხოლოდ დასწრებულ სწავლებაზე); **4. მელიორაცია; 5. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა; 6. მეაბრეშუმეობა; 7. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; 8. საბუხჰალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში; 9. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია; 10. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია** (დასწრებულ სწავლებაზე); **11. მეღვინეობის ტექნოლოგია; 12. საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია; 13. სატყეო მეურნეობა** (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

ა) **აგრონომიული, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიის და ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის და მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე:** 1. ფიზიკა, (ზეპირი),* ქიმია (ზეპირი).

ბ) **სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის და საბუხჰალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე:** 1. მათემატიკა (წერა, ზეპირი),* ქიმია (ზეპირი).

გ) **სატყეო მეურნეობის, მეღვინეობის ტექნოლოგიისა და საკონსერვო წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობებზე:** 1. მათემატიკა (ზეპირი),* ქიმია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

დ) **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სპეციალობებზე:** 1. მათემატიკა (წერა, ზეპირი),* ქიმია (ზეპირი) 2. ფიზიკა (ზეპირი).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერილს გამოცდას ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ოქროს, ან ვერცხლის მედალოსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით.

აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი") შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი" ან „სამი" შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა სხვა შესაბამის საგნში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

დასწრებულ სწავლებაზე უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩაირიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი სასწავლებლად ამორჩეულ სპეციალობაში, მათ შორის კი პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი, რომლებიც იგზავნებიან სასწავლებლად თანხმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წ. 18 სექტემბრის დადგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

დაუსწრებელ სწავლებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ სასწავლებლად ამორჩეული სპეციალობით. უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩაირიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ჩაირიცხვის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც სკკ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად იგზავნებიან სასწავლებლად იმ სპეციალობაზე, რომელიც შეესატყვისება შემომსულელის მუშაობის ხასიათს, და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე. განცხადებას დერთვის: 1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც აძლევენ საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო დასწრებულ სწავლებაზე შემომსულელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულთ — სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან. დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან (სადაც ასეთი არ არის, შემცველი საბუთებიდან). დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ, რომელშიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის; საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად აგზავნენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით; 4. ავტობიოგრაფია; 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 6. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ.

ინსტიტუტში შემომსულელი პირადად წარადგენს: პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირადღისა) 10 საათიდან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1967-68 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებსა და ფაკულტეტებზე:

1. დასწრებული სწავლების განყოფილება (ქართული სექტორი).

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე — სწავლული ზოოტექნიკოსის სპეციალობით,

საველტერინარო ფაკულტეტზე — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

2. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება (ქართული და რუსული სექტორები).

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე — სწავლული ზოოტექნიკოსი სპეციალობით, **საველტერინარო ფაკულტეტზე** — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა სამი წლის საწარმოო სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმათ, ვინც მოხვდნენ საშუალო სპეციალური სასწავლებლის გამოშვების ხუთ პროცენტში, ან საშუალო სპეციალური განათლება მიიღეს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. სახელოსნო სასწავლებლებისა და პროფესიონალ-საწავლებელდამთავრებულთათვის, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება, სავალდებულოა ოთხი წლის საწარმოო სტაჟი.

მისაღებ სტუდენტთა რიცხვი განაწილებული იქნება საწარმოო სტაჟის მქონეთა და უსტაჟოთა შორის შემოსულნი განცხადებების მიხედვით პროპორციულად.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და მუშაობენ პროფილის მიხედვით. **საველტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან** მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ საშუალო საველტერინარო განათლება და მუშაობენ სამკურნალო და სხვა საველტერინარო დაწესებულებებში.

ინსტიტუტში შემსვლელთათვის მოეწყობა მისაღები გამოცდები: ქართულ სექტორზე — ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა), ფიზიკასა და ქიმიაში. რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა). ფიზიკასა და ქიმიაში.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სასწავლებლების კურსდამთავრებულნი ანდა საშუალო სპეციალურ სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ქიმიაში. ამ საგანში ფრიადი შეფასების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო კარგი ან დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში აბარებენ სხვა საგნებსაც.

ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც აქვთ საშუალო სკოლის ფრიადოსნის ატესტატი ან საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ოქროს (ვერცხლის) მედლით, ანდა დაამთავრეს საშუალო სპეციალური სასწავლებელი წარჩინების დიპლომით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შერჩეული ფაკულტეტისა და სწავლების ფორმის (დასწრებული, დაუსწრებელი) ნებისმიერ და უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ადგენენ პირადად); 4. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ. ზომისა), 5. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული ხელმძღვანელი პირის მიერ). ცნობაში ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. დასწრებულ სწავლებაზე სახლხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან მოვლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მომართვა ინსტიტუტში მოვლინების შესახებ; 6. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (ხელმძღვანელებმა სკოლიდან); 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთების მიღება იწარმოებს 20 ივნისიდან 30 ივლისამდე ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 12 საათიდან 3 საათამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — ერწანისი. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი. ავტობუსი მარშრუტი № 23.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების სკოლა-ინტერნატი

აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას სკოლა-ინტერნატის IX კლასში

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც განსაკუთრებული მიდრეკილება და უნარი გამოიჩინეს ქიმიის სწავლებისადმი და აქვთ ამ საგანში მაღალი შეფასება.

შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 3. აკადემიური წარმატების ფურცელი, 4. საბუთები მშობელთა საქმიანობის და მათი ხელფასის ან შემოსავლის შესახებ, 5. რვა კლასის დამთავრების მოწმობა, 6. დაბადების მოწმობა, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 8. ორი ფოტოსურათი ზომით 3X4.

საბუთების მიღება 1 ივნისიდან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას სტაციონარულ განყოფილებაზე 1967-1968 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომის სპეციალობით).
დეკორაციული მბაღეობის განყოფილება (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით).
2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის** (ქართული და რუსული სექტორები — ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით).
3. **სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის** (ქართული და რუსული სექტორები ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით).

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ

1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე** (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომის სპეციალობით).
2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის** (ქართული სექტორი — ინჟინერ ტექნოლოგის სპეციალობით).
3. **სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის** (ქართული სექტორი— ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შერჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში: 1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე:** ქიმია და ფიზიკა; 2. **სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე:** მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა და ქიმია; 3. **სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე:** ა) მათემატიკა (ზეპირი, წერა) ფიზიკა და როგორც არამაპროფილებელი საგანი — ქიმია.

ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

შენიშვნა: ოქროს და ვერცხლის მედლებით საშუალო სკოლისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ: 1. **სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ფიზიკაში, 2. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (ზეპირი). 3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე** — მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალოსანი ან წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩაბარებს მაპროფილებელ საგანში ფრიადზე, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი" ან „დამაკმაყოფილებელი" — გამოცდას აბარებს ყველა საგამოცდო საგანში საერთო წესით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1967/1968 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით შემსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტის ჩვენებით და უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებლში შესასვლელად გაცემული საუმაო ადგილიდან, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის სკოლის ხელმძღვანელისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. წიგნაკში ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, კოლმეურნეობისათვის ყოველი კალენდარული წლისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნილმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მიმართვა სასწავლებლში მიღლინების შესახებ. 4. ავტობიოგრაფია (დაწერილი საკუთარი ხელით), 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286) 6. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4 სმ) 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელთათვის განცხადებები მიიღება მხოლოდ პროფილით მომუშავე აბიტურიენტთაგან, რომლებსაც სულ მცირე 2 წლის სტაჟი აქვთ.

შემსვლელნი პირადად ადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 20 ივნისიდან 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: სოხუმი-კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1967-1968 სასწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო და საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმებში შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე და საბუხჰალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე.
2. **ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ხიბოსტნეულის ტექნოლოგია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუხჰალტრო-საშუალო სკოლის ბაზაზე.
3. **ახიგზარის (გალის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ზოოტექნიკა საშუალო სკოლის ბაზაზე.
4. **ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია — არასრული საშალო სკოლის ბაზაზე, საბუხჰალტრო და სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა საშუალო სკოლის ბაზაზე.
5. **ახალქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და ვეტერინარული არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე (სომხურ ენაზე).
6. **ბათუმის (მწვანე კონცხი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე; საბუხჰალტრო და სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა საშუალო სკოლის ბაზაზე.
7. **ბაკურციხის (ბურჯაანის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და ხიდ-ბოსტნეულის ტექნოლოგია — არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ღვინის ტექნოლოგია და საბუხჰალტრო საშუალო სკოლის ბაზაზე.
8. **ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო სკოლის ბაზაზე (ქართული სექტორი) და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე (აზერბაიჯანული სექტორი).
9. **გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუხჰალტრო და ხიდ-ბოსტნეულის ტექნოლოგია საშუალო სკოლის ბაზაზე.
10. **გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და აგრონომიული არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ბუხჰალტერია საშუალო სკოლის ბაზაზე.
11. **გორგასერეულის (ჩოხატაურის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო სკოლის ბაზაზე.
12. **დიდი ჯიხაიშის (სამტრედიის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — დასახლებული ადგილების გამწვანება, საბუხჰალტრო და ხიდ-ბოსტნეულის ტექნოლოგია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით, საბუხჰალტრო, სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა და მეღვინეობის ტექნოლოგია საშუალო სკოლის ბაზაზე.
13. **დუშეთის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
14. **ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო და არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე და ხიდ-ბოსტნეულის ტექნოლოგია საშუალო სკოლის ბაზაზე.
15. **ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით, საბუხჰალტრო და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. სოფლის მეურნეობის დაგეგმვა და მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო სკოლის ბაზაზე.
16. **ზედა ეწერის (ზუგდიდის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუხჰალტრო საშუალო სკოლის ბაზაზე.
17. **თელავის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო სკოლის ბაზაზე და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია. არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
18. **კულაშის (სამტრედიის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ვეტერინარული, რძის პროდუქტების ტექნოლოგია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, ზოოტექნიკა და ვეტერინარული საშუალო სკოლის ბაზაზე.
19. **ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მეხილეობა-მებოსტნეობა არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
20. **ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, საბუხჰალტრო საშუალო სკოლის ბაზაზე.
21. **მარტყოფის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მიწათმოწყობა საშუალო სკოლის ბაზაზე.
22. **მარხასანის (ლიდნასის რაიონი) ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ზოოტექნიკური და ვეტერინარული არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
23. **ლაითურის (მახარაძის რაიონი) საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში**— მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. სოფლის მეურნეობის წარმოების დაგეგმვა საშუალო სკოლის ბაზაზე.
24. **ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
25. **ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — ს. მ. დაგეგმვა საშუალო სკოლის ბაზაზე, აგროქიმიური, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
26. **ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგროქიმიური და ვეტერინარული არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და მეხილეობა-მებოსტნეობა საშუალო სკოლის ბაზაზე.
27. **ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
28. **წინამძღვრიანთკარის (მცხეთის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით და მეფუტკრეობა არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე. საბუხჰალტრო და მეხილეობა-მებოსტნეობა მევენახეობის განხრით საშუალო სკოლის ბაზაზე.
29. **წალკის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში** — ვეტერინარული და სოფლის მეურნეობის მექანიზაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე (რუსულ ენაზე).
30. **წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის ტექნიკუმში** — სოფლის მეურნეობის მექანიზაცია საშუალო და არასრული სამუალო სკოლის ბაზაზე, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.
31. **ხეთის (ოზის რაიონი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** — აგრონომიული საშუალო სკოლის ბაზაზე, მეხილეობა-მებოსტნეობა სუბტროპიკული განხრით და საბუხჰალტრო არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე.

ტექნიკუმებში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც აქვთ დამთავრებული არასრული ან სრული საშუალო სკოლა და წარმატებით ჩაბარებენ შესასვლელ გამოცდებს.

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 10-დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს: განცხადება, განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა № 286 ფორმით, სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ.).

მისაღებ გამოცდებს აბარებენ: არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

სრული საშუალო სკოლის ბაზაზე მისაღებ გამოცდებს აბარებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის სპეციალობებზე: ქართულ ენაში (თხზულება), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

სოფლის მეურნეობის სპეციალობებზე: ქართულ ენაში (თხზულება), მათემატიკაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით (ფრიადოსნები), ან საშუალო სკოლის ოქროს (ვერცხლის) მედალზე კურსდამთავრებულნი.

ჩარიცხვა იწარმოებს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად.

ტექნიკუმში ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია და ბინა საერთო წესით. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი

აცხადებს 1967-1968 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას სატყეო-სამეურნეო სპეციალობის პირველ და მეორე კურსებზე

პირველ კურსზე მიიღებიან 8 კლასდამთავრებულნი, ხოლო მეორე კურსზე საშუალო სკოლადამთავრებულნი. სწავლების ხანგრძლივობა პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის 3 წელი და 6 თვე, მეორე კურსზე — 2 წელი და 6 თვე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე

შემდეგ საგნებში:

პირველ კურსზე შემსვლელთათვის 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-შინაარსი), 2. მათემატიკაში (წერა-ზეპირი).

მეორე კურსზე შემსვლელთათვის: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი).

განცხადებების მიღება წარმოებს 31 ივლისამდე ჩათვლით. ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

განცხადება ტექნიკუმში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დერთვით: 1. განათლების დოკუმენტის დედანი არასრული საშუალო სკოლის ან საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ, 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა № 286 ფორმით, გაცემული სკოლის ექიმის ან რაიონული საავადმყოფოს (პოლიკლინიკის) უბნის ექიმის მიერ. 4. სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3X4 სმ), 5. დაბადების მოწმობის ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ, 6. პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟის მქონე პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეობის წევრებმა კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დამოწმებული ამონაწერი ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

ტექნიკუმში შემსვლელნი პირადად ადგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით (არსებული წესის მიხედვით).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის დირექციაში ყოველდღე დილის 9 საათიდან ხალამოს 5 საათამდე გარდა კვირადღისა.

მისამართი: ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 36, ტელეფონი 2-43.

დისერტაციების დაცვა

22 ივნისს დღის 12 საათზე **საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე** (რუსთაველის პროსპექტი, 29) ისტორიის მეცნიერებათა კანდ